

ESRS E4
ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

შინაარსი

მიზანი

ურთიერთქმედება სხვა ESRS-ებთან

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნები

- ESRS 2 – „ინფორმაციის გამუღავნების საერთო მოთხოვნები“

სტრატეგია

- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-1 – „გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში“
- ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

- ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-2 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკები“
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-3 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-4 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-5 – „ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების მაჩვენებლები“
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-6 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

- ESRS 2 – „ინფორმაციის გამუღავნების საერთო მოთხოვნები“

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-1 – „გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში“
- ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-2 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან

დაკავშირებული პოლიტიკები“

- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-3 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-4 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-5 – „ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების მაჩვენებლები“
- ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-6 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნებლი ფინანსური შედეგები“

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, დაადგინოს მოთხოვნები ისეთი ინფორმაციის გამუღავნების-თვის, რომელიც **მდგრადობის ანგარიშების მომხმარებლებს** საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან შემდეგი საკითხების შესახებ:

 - a) როგორ ზემოქმედებს საწარმო **ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე** არსებითი დადებითი და უარყოფითი ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით, მათ შორის რამდენად უწყობს ხელს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კარგვასა და დეგრადაციას;
 - b) საწარმოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი **ქმედება**, რომელიც მიმართული იყო რესურსების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციაზე ან შერბილებაზე, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვასა და აღდგენაზე, ასევე რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე; და
 - c) საწარმოს გეგმები და შესაძლებლობები, თავისი სტრატეგია და ბიზნესმოდელი მოარგოს:
 - i. **ბიოსფეროს მთლიანობასა და მიწის სისტემასთან დაკავშირებულ პლანეტარულ საზღვრებს;**
 - ii. კუნმინ-მონტერეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო-დოკუმენტის (Kunming-Montreal Global Biodiversity Framework) ხედვას და მის შესაბამის მიზნებსა და **სამიზნე მაჩვენებლებს;**
 - iii. ევროკავშირის 2030 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის შესაბამის ასპექტებს¹;
 - iv. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EU დირექტივას და ასევე საბჭოს 92/43/EEC დირექტივას (ევროკავშირის დირექტივები ჩიტებისა და მათი ჰაბიტატების შესახებ)²; და
 - v. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/56/EC დირექტივას (საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივა)³;

1. ევროკავშირის 2030 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია – ვაბრუნებას ჩვენს ცხოვრებაში (EU Biodiversity Strategy for 2030- Bringing nature back into our lives, COM/2020/380 final).
2. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის დირექტივა ველური ჩიტების კონსერვაციის შესახებ (2009/147/EC on the conservation of wild birds (OJ L 20, 26.1.2010, გვ. 7) და 1992 წლის 21 მაისის საბჭოს დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ (92/43/EEC on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora (OJ L 206, 22.7.1992, გვ. 7).
3. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის დირექტივა, რომელიც ადგენს ჩარჩოებს საზღვაო დოკუმენტის სფეროში (Directive 2008/56/EC (საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო- დირექტივა) (Marine Strategy Framework Directive) (OJ L 164, 25.6.2008, გვ. 19).

- დ) ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული საწარმოს არსებითი რისკების, დამოკიდებულებისა და შესაძლებლობების ხასიათი, ტიპი და მასშტაბი და როგორ მართავს საწარმო ამ საკითხებს; და
- ე) ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე საწარმოს ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების **ფინანსური გავლენა** საწარმოზე მოკლევადიან, სამუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში.
2. წინამდებარე სტანდარტი მოთხოვნებს ადგენს ისეთი ინფორმაციის გამჯღავნებისთვის, რომელიც ეხება საწარმოს ურთიერთკავშირს ხმელეთის, **მტკნარი წყლებისა და საზღვაო ჰაბიტატებთან, გვონისტემებსა და ფაუნისა და ფლორის შესაბამისი სახეობების პოპულაციებთან**, მათ შორის მრავალფეროვნებას სახეობების ფარგლებში, სახეობებსა და ეკოსისტემებს შორის და მათ ურთიერთკავშირს **ძკვიდრ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან**.
3. ტერმინები „**ბიომრავალფეროვნება**“ და „**ბიოლოგიური მრავალფეროვნება**“ ეხება ნებისმიერი წყაროების/ წარმომავლობის ცოცხალი ორგანიზმების ცვალებადობას, როგორიც არის, მაგალითად, სხვასთან ერთად, ხმელეთი, **მტკნარი წყლები**, საზღვაო და სხვა ტიპის წყლის **გვონისტემები** და ეკოკამპლექსები, რომლის ნაწილიც არიან ისინი.

ურთიერთურებება სხვა ESRS-თან

4. ტერმინები „**ბიომრავალფეროვნება**“ და „**გვონისტემები**“ მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან. ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილების გამომწვევი მთავარი უშუალო ფაქტორებია კლიმატის ცვლილება, **დაბინძურება**, მიწათსარებლობის ცვლილება, **მტკნარი წყლებისა და ზღვის რესურსების გამოყენებაში ცვლილება**, ასევე ორგანიზმებისა და ინგაზიური უცხო სახეობების უშუალო გამოყენება. ამ სტანდარტში განხილულია ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი, გარდა კლიმატის ცვლილებისა (რომელსაც ეხება ESRS E1) და დაბინძურებისა (რომელსაც ეხება ESRS E2).
5. **ბიომრავალფეროვნებასა და გვონისტემებზე** საწარმოს არსებითი **ზემოქმედებისა და დამოკიდებულების** შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა ESRS-ების ინფორმაციის გამჯღავნების მოთხოვნების გაცნობა, მათი განხილვა და გააზრება წინამდებარე სტანდარტის ინფორმაციის გამჯღავნების კონკრეტულ მოთხოვნებთან ერთად. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა ESRS-ების ინფორმაციის გამჯღავნების შესაბამისი მოთხოვნებია:
- ა) ESRS E1 – „კლიმატის ცვლილება“, რომელიც კონკრეტულად **სათბურის აირების ემისიებსა და ენერგორესურსებს** (ენერგიის მოხმარება) ეხება;
 - ბ) ESRS E2 – „დაბინძურება“, რომელიც ეხება ჰაერის, წყლისა და **ნიადაგის დაბინძურებას**;
 - გ) ESRS E3 – „წყალი და საზღვაო რესურსები“, რომელიც კონკრეტულად წყლის რესურსებსა (წყლის მოხმარება) და **საზღვაო რესურსებს** ეხება;
 - დ) ESRS E5 – „რესურსების გამოყენება და ცირკულარული კონომიკა“, რომელიც კონკრეტულად არაგანახლებადი რესურსების მოპოვებაზე უარის თქმას და ისეთი მეთოდების დანერგვას ეხება, რომლებიც ხელს უშლის ნარჩენების, მათ შორის **ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების წარმოქმნას**.
6. **ბიომრავალფეროვნებასა და გვონისტემებზე** საწარმოს ზემოქმედება გავლენას ახდენს ადამიანებსა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე. როდესაც საწარმოო ESRS E4-ის შესაბამისად ანგარიშებებაში წარსადგენ ინფორმაციას ამზადებს **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან** დაკავშირებული არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, რასაც ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილებები იწვევს, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ESRS S3-ის – „**ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფი**“ – მოთხოვნები.
7. ეს სტანდარტი უნდა განიხილებოდეს ESRS 1-სა – „**ზოგადი მოთხოვნები**“ და ESRS 2-თან – „**ინფორმაციის გამჯღავნების საერთო მოთხოვნები**“ – ერთად.

ESRS 2 – „ინფორმაციის გამუღავნების საერთო მოთხოვნები“

8. სტანდარტის ამ ნაწილის მოთხოვნები უნდა განიხილებოდეს ESRS 2-ის მე-2 თავის – „მმართველობა“, მე-3 თავის „სტრატეგია“ და მე-4 თავის „ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობების მართვა“ – მოთხოვნების შესაბამისად გამუღავნებულ ინფორმაციასთან ერთად.
9. ამ მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ESRS 2-ის შესაბამისად გამუღავნებულ ინფორმაციასთან ერთად, გარდა ESRS 2 SBM-3-ის შესაბამისი ინფორმაციის, რომლის გამუღავნების უფლება საწარმოს ასევე აქვს თემატურ ინფორმაციასთან ერთად.
10. ESRS 2-ის მოთხოვნების გარდა, წინამდებარე სტანდარტი ასევე მოიცავს სპეციფიკური თემატური ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნასაც: E4-1 „გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში“.

სტრატეგია

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-1 – „გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემები გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში“

11. საწარმომ უნდა გაამუღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ წარმოიქმნება მისი სტრატეგიიდან და ბიზნესმოდელიდან ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემაზე მისი ზემოქმედება, დამოკიდებულება, რისკები და შესაძლებლობები და როგორ ხდება სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ადაპტაცია.
12. ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ელასტიკურობის, ასევე მათი თავსებადობის შესახებ შესაბამისი ადგილობრივი, ქვეყნის დონის და გლობალური სახელმწიფო პოლიტიკის იმ სამიზნე მაჩვენებლებთან, რომლებიც ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებს ეხება.
13. საწარმომ უნდა აღწეროს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ელასტიკურობა. აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) არსებული ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის ელასტიკურობის შეფასება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებულ ფიზიკურ, გარდამავალ და სისტემურ რისკებთან მიმართებით;
 - ბ) ელასტიკურობის ანალიზის მასშტაბი, რომელიც ეხება საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და მის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვს, ასევე ამ ანალიზში გათვალისწინებულ შესაბამის რისკებს;
 - გ) განსაზღვრული და გამოყენებული ძირითადი დაშვებები;
 - დ) გამოყენებული საპროგნოზო პერიოდი;
 - ე) ელასტიკურობის ანალიზის შედეგები; და
 - ვ) დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, ტრადიციებისა და ადგილობრივი ვითარების მცოდნე მხარეთა მონაწილეობა.
14. თუ საწარმოს ამ მოთხოვნის შესაბამისი ინფორმაცია გამუღავნებული აქვს ESRS 2-ის SBM-3 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან ერთად, მას შეუძლია მიუთითოს ეს ინფორმაცია.
15. საწარმოს შეუძლია გაამუღავნოს გაუმჯობესების გარდამავალი გეგმა და, საბოლოო ჯამში, რა მიღწევები აქვს თავისი ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხში კუნძინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო-დოკუმენტის ხედვასა და ევროკავშირის 2030 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისთან, ასევე ბიოსფეროს მთლიანობასა

და მიწის სისტემასთან დაკავშირებული პლანეტარული საზღვრების დაცვის საქმეში.

ინფორმაციის გამყლავნების მოთხოვნა SBM 3 – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“

16. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- a) 17(a) პუნქტის შედეგების საფუძველზე, ყველა არსებითი **საქმიანობის განხორციელების ადგილის** სია თავისი ოპერაციების, მათ შორის საქმიანობის განხორციელების ის ადგილები, რომლებიც იმყოფება მისი ოპერატორის კონტროლის ქვეშ. კერძოდ, ინფორმაცია ამ ადგილების შესახებ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახით:
 - i. უნდა მიუთითოს ის საქმიანობები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებს **ბიომრავალფეროვნების მხრივ მგრძნობიარე ტერიტორიებზე**;⁴
 - ii. საქმიანობის განხორციელების ადგილები უნდა დააჯგუფოს გამოვლენილი **ზემოქმედებისა და დამოკიდებულების** და ასევე იმ ტერიტორიების ეკოლოგიური სტატუსის მიხედვით (კონკრეტული ეკოსისტემის საბაზო დონესთან მიმართებით), სადაც ისინი მდებარეობს; და
 - iii. მიუთითოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი, **ბიომრავალფეროვნების მხრივ მგრძნობიარე ტერიტორიები**, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მათი ადგილმდებარეობისა და 16 (a) i. პუნქტის მიხედვით წარმოდგენილ საქმიანობებზე პასუხისმგებელი კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს დადგენა;
- b) არსებითი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა თუ არა მან **მიწის დევრადაციაზე, გაუდაბნებაზე ან ნიადაგის ბლოკირებაზე**,⁵ და
- c) აქვს თუ არა მას ისეთი ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს **საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებზე**.⁶

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „ბიომრავალფეროვნებასა და უკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა – დაკავშირებული ინფორმაციის გამყლავნების მოთხოვნა“

4. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეების საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჯღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #7 მაჩვენებლით ("საქმიანობები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნების მხრივ მგრძნობიარე ტერიტორიებზე") ("Activities negatively affecting biodiversity-sensitive areas").
5. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეების საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჯღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის მე-2 ცხრილში მოცემული #10 მაჩვენებლით ("მიწის დეგრადაცია, გაუდაბნობა და ნიადაგის ბლოკირება") ("Land degradation, desertification, soil sealing").
6. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჯღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #14 მაჩვენებლით ("ბუნებრივი სახეობები და დაცული ტერიტორიები") ("Natural species and protected areas").

17. საწარმომ უნდა აღწეროს არსებითი ზემოქმედების, რისკების, დამოკიდებულებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად განკუთვნილი პროცესი. კერძოდ, ამ აღწერაში უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) გამოავლინა და შეფასა თუ არა საწარმომ და როგორ ბიომრავალფეროვნებასა და კონსისტემებზე ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედება თავის საქმიანობის განხორციელების ადგილებსა და აღმავალ დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, მათ შორის ინფორმაცია გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
 - ბ) გამოავლინა და შეფასა თუ არა საწარმომ და როგორ ბიომრავალფეროვნებასა და კონსისტემებზე დამკიდებულება და მათი მომსახურება თავის საქმიანობის განხორციელების ადგილებსა და აღმავალ დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, მათ შორის ინფორმაცია გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების შესახებ, ასევე ეს შეფასება მოიცავს თუ არა კონსისტემურ მომსახურებას, რომელიც ზარალდება ან შეიძლება დაზარალდეს;
 - გ) გამოავლინა და შეფასა თუ არა საწარმომ და როგორ ბიომრავალფეროვნებასა და კონსისტემებთან დაკავშირებული გარდამავალი და ფიზიკური რისკები და შესაძლებლობები თავისი ზემოქმედებისა და დამკიდებულების საფუძველზე, მათ შორის ინფორმაცია გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
 - დ) განიხილა თუ არა სისტემური რისკები და როგორ;
 - ე) გაიარა თუ არა კონსულტაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან საერთო ბიოლოგიური რესურსებისა და კონსისტემების მდგრადობის შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ:
 - i. თუ საქმიანობის განხორციელების ადგილი, ნედლულის წარმოება ან მიწოდება, სავარაუდოდ, უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ბიომრავალფეროვნებასა და კონსისტემებზე, საწარმომ უნდა მიუთითოს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების ადგილები, ნედლეულის წარმოება ან მიწოდება, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ან პოტენციურად მოახდენს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე;
 - ii. თუ მოსალოდნელია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედება, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, რა სახით მონაწილეობდნენ აღნიშნული საზოგადოებრივი ჯგუფები არსებითობის შეფასებაში; და
 - iii. რაც შეეხება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ კონსისტემურ მომსახურებაზე ზემოქმედებას საწარმოს საკუთარი ოპერაციების შედეგად, საწარმომ უნდა მიუთითოს, როგორ შეიძლება უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია. თუ ამგვარი ზემოქმედება გარდაუვალია, საწარმოს შეუძლია მიუთითოს თავისი გეგმები, რომლებიც ეხება ამ ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას და ზემოქმედების შემარბილებელი ზომების გატარებას, რომელთა მიზანია პრიორიტეტული მომსახურებების ფასეულობებისა და ფუნქციური შესაძლებლობების შენარჩუნება.
18. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, გამოიყენა თუ არა მან და თუ გამოიყენა როგორ ბიომრავალფეროვნებისა და კონსისტემების სცენარების ანალიზი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და შესაფასებლად მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისთვის. თუ საწარმოს გამოიყენებული აქვს ამგვარი სცენარების ანალიზი, მას შეუძლია შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნება:
 - ა) რატომ შეარჩია განხილული სცენარები;
 - ბ) როგორ განახლდა განხილული სცენარები პირობების განვითარებისა და ახალი ტენდენციების შესაბამისად;
 - გ) ეს სცენარები ეყრდნობა თუ არა უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ მოლოდინებს, როგორიც არის, მაგალითად „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია“ და ასევე, შესაბამის შემთხვევაში, მეცნიერულ კონსენსუსს, როგორიც არის

მთავრობათაშორისი სამეცნიერო პოლიტიკური პლატფორმა ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური მომსახურების შესახებ (IPBES).

19. საწარმომ კონკრეტულად უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- აქვს თუ არა მას საქმიანობის განხორციელების ისეთი ადგილები, რომლებიც მდებარეობს ბიომრავალფეროვნების მხრივ მგრძნობიარე ტერიტორიაზე ან ამგვარი ტერიტორიის მახლობლად და საქმიანობის განხორციელების ამ ადგილებთან დაკავშირებული საქმიანობები უარყოფით გავლენას ახდენს თუ არა ამ ტერიტორიებზე იმით, რომ აუარესებს ბუნებრივ ჰაბიტატს და ცალკეული სახეობების ჰაბიტატებს, ასევე ზიანს აყენებს იმ სახეობებს, რომლისთვისაც გამოყოფილია **დაცული ტერიტორია**; და
 - საწარმომ დაასკვნა თუ არა, რომ აუცილებელია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ზომების მიღება, რომლებიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივაში და ეხება ველური ჩიტების კონსერვაციას, ასევე საბჭოს 92/43/EEC დირექტივაში, რომელიც ეხება ბუნებრივი ჰაბიტატისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციას; გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/92/EU დირექტივის⁷, „გარემოზე ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო პროექტის გავლენის შეფასების შესახებ“ (1) მუხლის (ზე) ნაწილში და ასევე იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც ხორციელდებოდა მესამე სამყაროს ქვეყნებში ანალოგიური ეროვნული დებულებების ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორიც არის, მაგალითად საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) საქმიანობის სტანდარტი 6: „ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა“.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა E4-2 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

- საწარმომ უნდა აღწეროს პოლიტიკა, რომელიც დადგენილი აქვს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული მისი არსებითი ზემოქმედების, რისკების, დამოკიდებულებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.
- ინფორმაციის გამჟღავნების ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, რა დონის პოლიტიკა აქვს საწარმოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად, შესაფასებლად, მათი მართვის ან/და რემედიაციისთვის.
- მე-20 პუნქტის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს იმ პოლიტიკის აღწერას, რომელიც საწარმოს დადგენილი აქვს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული მისი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის, ESRS 2-ის MDR-P ნაწილის – „მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები“ – შესაბამისად.
- ESRS 2-ის MDR-P ნაწილის დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, საწარმომ უნდა აღწეროს, ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული მისი პოლიტიკა:
 - დაკავშირებულია თუ არა როგორ ESRS E4 AR 4-ში მითითებულ საკითხებთან;
 - დაკავშირებულია თუ არა და როგორ ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებულ მის არსებით ზემოქმედებასთან;
 - დაკავშირებულია თუ არა როგორ არსებით დამოკიდებულებასა და არსებით ფიზიკურ და გარდამავალ რისკებსა და შესაძლებლობებთან;

7. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა გარემოზე ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო პროექტის გავლენის შეფასების შესახებ (Directive 2011/92/EU) (OJ L 26, 28.1.2012, გვ. 1).

- დ) ხელს უწყობს თუ არა თვალყურის დევნებას იმ პროდუქტებზე, კომპონენტებსა და ნედლეულზე, რომლებიც მთელ დირებულებათა ჯაჭვში არსებით ფაქტობრივ ან პოტენციურ ზემოქმედებას ახდენს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე;
- გ) ითვალისწინებს თუ არა და როგორ იმ ეკოსისტემებში განხორციელებულ წარმოებას, მიწოდებას ან მოხმარებას, რომლის მართვაც ხორციელდება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ან ბიომრავალფეროვნებისთვის აუცილებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც დასტურდება ბიომრავალფეროვნების სტატუსის რეგულარული მონიტორინგითა და მის შესახებ წარდგენილი ანგარიშით, ასევე შემოსულობებით ან ზარალით; და
- გ) ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებულ ზემოქმედებაზე რეაგირების ზომები ითვალისწინებს თუ არა სოციალურ შედეგებს.
24. საწარმომ სპეციალურად უნდა მიუთითოს, დადგენილი აქვს თუ არა მას:
- ა) **ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მის საკუთრებაში მყოფ საოპერაციო საქმიანობის განხორციელების ადგილებს, იჯარით აღებულ ადგილებს ან ადგილებს, რომლებსაც მართავს ბიომრავალფეროვნების მხრივ მცრავი მცრავი ტერიტორიაზე ან ამგვარი ტერიტორიის მახლობლად;**
 - ბ) მიწათსარებლობის/სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მეთოდები ან პოლიტიკა;⁸
 - გ) ოკეანების/ზღვების მდგრადი განვითარების მეთოდები ან პოლიტიკა;⁹ და
 - დ) გაუტყეურების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.¹⁰

ინფორმაციის გამუდავნების მოთხოვნა E4-3 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“

25. საწარმომ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებებისა და მათი განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ
26. ინფორმაციის გამუდავნების ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან უკვე განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი ქმედებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკის მიზნებისა და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის საქმეში.
27. ძირითადი ქმედებებისა და რესურსების აღწერა უნდა შესაბამებოდეს ESRS 2-ის MDR-A ნაწილით „მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“ – დადგენილ სავალდებულო შინაარსს.
-
8. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლივან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამუდავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #11 მაჩვენებლით („ინვესტიციები კომპანიებში, რომლებსაც არა აქვთ მიწის/სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მეთოდები“) (“Investments in companies without sustainable land/agriculture practices”).
9. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლივან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამუდავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #12 მაჩვენებლით („ინვესტიციები კომპანიებში, რომლებსაც არა აქვთ ოკეანების/ზღვების მდგრადი განვითარების მეთოდები“) (“Investments in companies without sustainable oceans/seas practices”).
10. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლივან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამუდავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #15 მაჩვენებლით („გაუტყეურება“) (“Deforestation”).

28. გარდა ამისა:
- ა) საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჯღვნება იმის თაობაზე, როგორ გამოიყენა მან თავის ქმედებებთან მიმართებით ზემოქმედების შერბილების იერარქია (პრევენცია, მინიმუმამდე დაყვანა, აღდგენა/რეაბილიტაცია და ანაზღაურება ან კომპენსაცია);
 - ბ) საწარმომ უნდა გაამჯღვნოს ინფორმაცია იმის შესახებ, სამოქმედო გეგმებში გაითვალისწინა თუ არა ბიომრავალფეროვნების ზიანის კომპენსაცია. თუ ეს **ქმედებები** მოიცავს **ბიომრავალფეროვნების** საკომპენსაციო კონსერვაციულ ღონისძიებებს, მაშინ საწარმომ უნდა გაამჯღვნოს ასევე შემდეგი ინფორმაცია:
 - i. კომპენსაციის მიზანი და საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენა;
 - ii. ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო კონსერვაციული ღონისძიებების ფინანსური შედეგები ფულად გამოხატულებაში (პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები); და
 - iii. საკომპენსაციო კონსერვაციული ღონისძიებების აღწერა, მათ შორის, მათი გამოყენების ადგილი, ტიპი, გამოყენებული ხარისხის კრიტერიუმები და ის სტანდარტები, რომლებსაც შეესაბამება ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო კონსერვაციული ღონისძიებები; - გ) საწარმომ უნდა აღწეროს, ბიომრავალფეროვნებასა და **კოსისტემებთან** დაკავშირებულ ქმედებებში გაითვალისწინა თუ არა როგორ ადგილობრივი ვითარება, ტრადიციები და ბუნებების დამზოგავი გადაწყვეტილებები.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

ინფორმაციის გამჯღვნების მოთხოვნა E4-4 – „ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

29. საწარმომ უნდა გაამჯღვნოს ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებით დადგენილი სამიზნე მაჩვენებლები.
30. ინფორმაციის გამჯღვნების ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ სამიზნე მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც საწარმოს დადგენილი აქვს **ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკის** მხარდასაჭერად, ასევე **ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებულ არსებით ზემოქმედებაზე, დამოკიდებულებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე** რეაგირებისთვის.
31. **სამიზნე მაჩვენებლების** აღწერა უნდა შეესაბამებოდეს იყოს ESRS 2-ის MDR-T ნაწილით – „პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტურისა და დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით“ – დადგენილ სავალდებულო შინაარსს.
32. 29-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამჯღვნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
- ა) **სამიზნე მაჩვენებლების** განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო თუ არა **კოლოგიური ზღვრები** და **ზემოქმედების** განაწილება/მიკუთვნება საწარმოზე. თუ გათვალისწინებული იყო, საწარმომ უნდა მიუთითოს:
 - i. დადგენილი ეკოლოგიური ზღვრები და მათ დასადგენად გამოყენებული მეთოდები;
 - ii. ეს ზღვრები შესაფერისა თუ არა მხოლოდ მისთვის, ხოლო თუ ასეა, როგორ განსაზღვრა ისინი; და
 - iii. დადგენილი ეკოლოგიური ზღვრების დაცვის პასუხისმგებლობა როგორ არის განაწილებული საწარმოში;
 - ბ) ეს სამიზნე მაჩვენებლები გათვალისწინებულია თუ არა ან/და შეესაბამება თუ არა კუნმინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალურ ჩარჩო-დოკუმენტს, ევროკავშირის 2030

- წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიას და ასევე **ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტუ-მებთან დაკავშირებულ ქვეყნის პოლიტიკასა და კანონმდებლობას;**
- გ) ეს სამიზნე მაჩვენებლები როგორ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემაზე იმ ზემოქმედებასთან, დამოკიდებულებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან, რომლებიც საწარმომ გამოავლინა საკუთარ ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებით;
- დ) სამიზნე მაჩვენებლების გავრცელების არეალი, შესაბამის შემთხვევაში;
- ე) სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას საწარმომ გამოიყენა თუ არა ბიომრავალფეროვნების ზიანის კომპენსაცია; და
- ვ) ზემოქმედების შერბილების იერარქიის რომელ დონეს შეიძლება მიეკუთვნოს ეს სამიზნე მაჩვენებლები (ე.ი. პრევენცია, მინიმიზაცია, აღდგენა და რეაბილიტაცია, ანაზღაურება ან კომპენსაცია).

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-5 – „ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტუ-მებთან დაკავშირებული ზემოქმედების მაჩვენებლუბი“

33. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტუ-მებთუ-ზე ზემოქმედების ამსახველი მაჩვენებლები.
34. ამ მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს ისეთი ზემოქმედების ამსახველი მაჩვენებლების შესახებ, რომელიც არსებითად იყო მიჩნეული ბიომრავალფეროვნებისა და კოსისტუ-მების ცვლილების შეფასებისას.
35. თუ საწარმომ გამოავლინა საქმიანობის განხორციელების ადგილები, რომლებიც მდებარეობს ბიომრავალფეროვნების მხრივ მკრძნობიარე ისეთ ტერიტორიებზე ან ამგვარი ტერიტორიის მახლობლად, რომლებზეც ის უარყოფითად ზემოქმედებს (იხ. პუნქტი 19(ა)), მან უნდა გაამჟღავნოს მის საკუთრებაში მყოფი, იჯარით აღებული ან მის მიერ მართული იმ ადგილების რაოდენობა და ფართობი (ჰექტრებში), რომლებიც მდებარეობს ამ დაცულ ტერიტორიებზე, ან ბიომრავალფეროვნების ძირითად ზონებში ან ამგვარი ტერიტორიების მახლობლად.
36. თუ საწარმომ გამოავლინა არსებითი ზემოქმედება მიწათსარგებლობის ცვლილებასთან მიმართებით, ან ზემოქმედება კოსისტუ-მების მასშტაბსა და მდგომარეობაზე, მას ინფორმაციის გამუღავნება შეუძლია ასევე მათი მიწათსარგებლობის შესახებ, სასიცოცხლო ციკლის შეფასების საფუძველზე.
37. 38-41-ე პუნქტებში მითითებული ასპექტებისთვის საწარმომ უნდა განიხილოს საკუთარი ოპერაციები.
38. თუ საწარმომ დაასკვნა, რომ იგი უშუალოდ ახდენს გავლენას მიწათსარგებლობის ცვლილების, მტკნარი წელების გამოყენების ან/და ზღვის გამოყენების ცვლილების გამომწვევ ფაქტორებზე, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მდგრადობის მაჩვენებლები. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ის მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს:
 - ა) მიწის საფარის გარდაქმნას (მაგ., გაუტყუურება ან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება) დროთა განმავლობაში (მაგ., 1 ან 5 წელი);
 - ბ) ეკოსისტემის მართვაში დროთა განმავლობაში (მაგ., 1 ან 5 წელი) მომხდარ ცვლილებებს (მაგ., სოფლის მეურნეობის მართვის ინტენსიფიკაციის მეშვეობით, ანდა მართვის ან ხე-ტყის დამზადების უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენებით);
 - გ) ლანდშაფტის სივრცითი კონფიგურაციის ცვლილებებს (მაგ., ჰაბიტატის ფრაგმენტაცია, ეკოსისტემების შეკრულობის ცვლილებები);
 - დ) ეკოსისტემის სტრუქტურული შეკრულობის ცვლილებებს (მაგ., ჰაბიტატის გამტარობა ფიზიკურ მახასიათებლებსა და ჰაბიტატის ცალკეული ნაწილების განლაგებაზე დაყრდნობით); და
 - ე) ფუნქციური შეკრულობა (მაგ., რამდენად კარგად მოძრაობენ გენები ან ინდივიდები ხმელეთზე, მტკნარ წყალსა და ზღვის ლანდშაფტში).

39. თუ საწარმომ დაასკვნა, რომ იგი უშუალოდ უწყობს ხელს ინვაზიური უცხო სახეობების შემთხვევით ან ნებაყოფლობით შემოყვანას, მას შეუძლია გამაჟღავნოს ის **მაჩვენებლები**, რომლებსაც იყენებს ინვაზიური უცხო სახეობების შემოტანისა და გავრცელების გზებისა და **ინვაზიური უცხო სახეობებით გამოწვეული რისკების მართვისთვის**.
40. თუ საწარმომ გამოავლინა სახეობების მდგომარეობასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედება, მას შეუძლია წარმოადგინოს ის **მაჩვენებლები**, რომლებსაც თვითონ მიიჩნევს შესაფერისად. საწარმოს შეუძლია:
- ა) იხელმძღვანელოს ESRS E1-ით, ESRS E2-ით, ESRS E3-ითა და ESRS E5-ით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების შესაფერისი მოთხოვნებით;
 - ბ) განიხილოს კონკრეტულ კვოსისტემებში მობინადრე პოპულაციის ზომა, მისი ბინადრობის არეალი, ასევე გადაშენების რისკი. ამ ასპექტების ცოდნა მკითხველს წარმოდგენას უქმნის ამა თუ იმ ერთი სახეობის პოპულაციის სიჯანსაღისა და მისი ფარდობითი მედეგობის შესახებ ადამიანის ჩარევით გამოწვეული და ბუნებრივად წარმოქმნილი ცვლილებების მიმართ;
 - გ) გაამჟღავნოს ის მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს კონკრეტულ ტერიტორიაზე სახეობების შემადგენელი ინდივიდების რაოდენობის ცვლილებებს;
 - დ) გაამჟღავნოს გადაშენების რისკის¹¹ ქვეშ მყოფი სახეობების მიმართ გამოყენებული ის მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს:
 - i. სახეობების საფრთხის სტატუსს და იმას, საფრთხის სტატუსზე როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს საქმიანობამ/ზეწოლამ; ან
 - ii. **საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების** შესაბამისი **ჰაბიტატის** ცვლილებებს, როგორც ადგილობრივი პოპულაციის გადაშენების რისკზე საწარმოს ზემოქმედების არაპირდაპირი მაჩვენებელი.
41. თუ საწარმომ გამოავლინა ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედება, მას შეუძლია გაამჟღავნოს:
- ა) ეკოსისტემების მასშტაბთან დაკავშირებით – **მაჩვენებლები**, რომლებიც კონკრეტული ეკოსისტემის ტერიტორიის ფართობს იმგვარად ზომავს, რომ არ ითვალისწინებს შესაფასებელი ტერიტორიის ხარისხს, როგორიც არის **ჰაბიტატის** საფარი. მაგ., ტყის საფარი არის გარკვეული ტიპის ეკოსისტემის განვენილობის საზომი, რომელიც არ ითვალისწინებს ეკოსისტემის მდგომარეობას (მაგ., მიგვითითებს ტყის საფარის ფართობზე ხეთა სახეობების მრავალფეროვნების აღწერის გარეშე);
 - ბ) ეკოსისტემების მდგომარეობასთან დაკავშირებით:
 - i. მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს ეკოსისტემების ხარისხს წინასწარ განსაზღვრულ ეტალონურ/ამოსავალ მდგომარეობასთან მიმართებით;
 - ii. მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს ეკოსისტემაში რამდენიმე სახეობას და არა ინდივიდების რაოდენობას ამა თუ იმ ეკოსისტემის ერთ სახეობაში (მაგალითად: სახეობების მრავალფეროვნებისა და სიმრავლის/რიცხოვნობის მეცნიერულად დადგენილი მაჩვენებლები, რომლებიც ზომავს ეკოსისტემაში (ადგილობრივი) სახეობრივი შემადგენლობის განვითარებას პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებულ ეტალონურ/ამოსავალ მდგომარეობასთან მიმართებით, ასევე სამიზნე მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრულია კუნძინ-მონრეალის ბიომრავალფეროვნების გლობალურ ჩარჩო-დოკუმენტში, ან სახეობების კონსერვაციის აგრეგირებულ სტატუსს, შესაბამის შემთხვევაში); ან
 - iii. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს ეკოსისტემის მდგომარეობის სტრუქტურულ კომპონენტებს, როგორიც არის ჰაბიტატის შეკრულობა (ანუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ჰაბიტატი).

11. როგორც მითითებულია ბუნებისა დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელ სიასა და ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ წითელ სიაში (IUCN Red List of Threatened Species და European Red List).

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-6 – „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“

42. საწარმომ უნდა გაამუღავნოს ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ.
43. 42-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია ავსებს ESRS 2-ის SBM-3 ნაწილის 48 (დ) პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მიმდინარე ფინანსურ გავლენას.
44. ინფორმაციის გამუღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან შემდეგი საკითხების შესახებ:
- მოსალოდნელი ფინანსური შედეგები, რომლებიც განპირობებულია ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებით, ასევე რანაირად ახდენს ეს რისკები არსებით გავლენას საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე (ან, გონივრულ ფარგლებში, როგორ შეიძლება, რომ მოახდინოს ამგვარი გავლენა ამ რისკებმა) მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში; და
 - მოსალოდნელი ფინანსური შედეგები, რომლებიც გამოწვეულია ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი შესაძლებლობებით.
45. ზემოაღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:
- მოსალოდნელი ფინანსური შედეგების რაოდენობრივ შეფასებას ფულად გამოხატულებაში, ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებების გათვალისწინებაში, ან როდესაც ამის განსაზღვრა შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე – ხარისხობრივი ინფორმაციას. სავალდებულო არ არის არსებითი შესაძლებლობებიდან წარმოქმნილი ფინანსური შედეგების რაოდენობრივი შეფასება, თუ ეს გამოიწვევს ისეთი ინფორმაციის გამუღავნებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს. (იხ. ESRS 1, დანართი „ბ“ – „ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები“). მოსალოდნელი ფინანსური შედეგების რაოდენობრივი შეფასება ფულად გამოხატულებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი თანხით ან დიაპაზონის სახით;
 - გათვალისწინებული შედეგების, ზემოქმედებისა და დამოკიდებულების აღწერას, რომელთანაც დაკავშირებულია ეს ფინანსური შედეგები და ასევე იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია სავარაუდოდ მათი მატერიალიზება;
 - მოსალოდნელი ფინანსური შედეგების რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებული განსაკუთრებული მნიშვნელობის დაშვებების, ასევე ამ დაშვებების წყაროებისა და დაკავშირებული განუსაზღვრელობის დონის აღწერას.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

წინამდებარე დანართი ESRS E4-ის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს ამ სტანდარტით დადგენილი ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენებას და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

ESRS 2 – „ინფორმაციის გამუღავნების საერთო მოთხოვნები“

სტრატეგია

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-1 – „გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და კოსისტემების გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში“

გმ1. როდესაც საწარმო გარდამავალი გეგმის ინფორმაციას ამჟღავნებს, მას შეუძლია:

- ა) ახსნას, როგორ დააკორექტირებს თავის სტრატეგიასა და **ბიზნესმოდელს ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან** დაკავშირებული შესაბამისი ადგილობრივი, ქვეყნის დონის და გლობალური სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებსა და **სამიზნე მაჩვენებლებთან** შესაბამისობის გასაუმჯობესებლად და, საბოლოო ჯამში, სრული შესაბამისობის მისაღწევად, მათ შორის კუნძინ-მონიტორინგის ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო-დოკუმენტის ხედვასა და ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ შესაბამის მიზნებსა და სამიზნე მაჩვენებლებთან, ევროკავშირის 2030 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასთან, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EU დირექტივასთან, საბჭოს 92/43/EEC დირექტივასთან (ევროკავშირის დირექტივები ჩიტებისა და მათი ჰაბიტატის შესახებ) და, აუცილებლობის შემთხვევაში, **პლანეტარულ საზღვრებთან**, რომლებიც დაკავშირებულია ბიოსფეროს მთლიანობასა და **მიწის სისტემის ცვლილებასთან**;
- ბ) ჩართოს ინფორმაცია საკუთარი ოპერაციების შესახებ და ახსნას, როგორ რეაგირებს ის თავის ღირებულებათა აღმავალ და დაღმავალ ჯაჭვში წარმოქმნილ არსებით ზემოქმედებაზე, რომელიც გამოვლინდა ESRS 2-ის IRO-1 ნაწილის – „ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – შესაბამისად განხორციელებული არსებითობის შეფასებისას;
- გ) ახსნას, მისი სტრატეგია როგორ არის დაკავშირებული გარდამავალ გეგმასთან;
- დ) ახსნას, როგორ უწყობს ის ხელს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემაზე ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორების აღმოფეხვრას და შესაძლო ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ზემოქმედების შერბილებაზე, ზემოქმედების შერბილების იერარქიის შესაბამისად, ასევე ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დამოკიდებულება და დაფიქსირებული აქტივები და რესურსები (მაგ., მცენარეები, ნედლეული);
- ე) ახსნას და რაოდენობრივად შეაფასოს ის ინვესტიციები და მოპოვებული დაფინანსება, რომლებიც ხელს უწყობს საწარმოს გარდამავალი გეგმის განხორციელებას და მიუთითოს ტაქსონომიის შესაბამისი, კაპიტალური დანახარჯების ფაქტურის მიზნების მირითადი მაჩვენებლები და, შესაბამის შემთხვევაში, კაპიტალური დანახარჯების გეგმებიც, რომლებიც გამჟღავნებული აქვს კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2021/2178-ის შესაბამისად;
- ვ) თუ საწარმოს აქვს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელზეც ვრცელდება ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული დელეგირებული რეგულაციები ტაქსონომიის რეგულაციის (Taxonomy Regulation) შესაბამისად, ახსნას ნებისმიერი მიზანი ან გეგმა (კაპიტალური დანახარჯები, კაპიტალური დანახარჯების გეგმები), რომელიც შემუშავებული აქვს თავისი ეკონომიკური საქმიანობის (ამონაგები, კაპიტალური დანახარჯები) შესაბამისობაში მოსაყვანად ამ დელეგირებული რეგულაციებით დადგენილ კრიტერიუმებთან;
- ზ) ახსნას, როგორ გამოიყენება ბიომრავალფეროვნების კომპენსაცია გარდამავალ გეგმაში, ხოლო თუ გამოიყენება, მიუთითოს, სად იგეგმება ამ საკომპენსაციო კონსერვაციული ღონისძიებების გამოყენება, მისი გამოყენების ხარისხი მთლიან გარდამავალ გეგმასთან მიმართებით და გაითვალისწინა თუ არა ზემოქმედების შერბილების იერარქია;
- თ) ახსნას, როგორ ხდება გარდამავალი გეგმის განხორციელებისა და განახლების პროცესის მართვა;
- ი) ახსნას, როგორ ზომავს ის მიღწეულ პროგრესს, კერძოდ, მიუთითოს, რა მაჩვენებლებსა და მეთოდოლოგიას იყენებს ამ მიზნისთვის;

- კ) მიუთითოს, ეს გარდამავალი გეგმა დაამტკიცეს თუ არა ადმინისტრაციულმა, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებმა; და
- ღ) მიუთითოს გეგმის შედგენასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებულ გეგმის ნაწილებს, ასევე როგორ აგვარებს ამ პრობლემებს.
- გმ2. გარდამავალი გეგმის გამჟღავნებისას საწარმოს შეუძლია მაგ., მიმართოს შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის 2030 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიაში:
- ა) დამბინძურებლების რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია საპირისპიროდ შეიცვლება;
 - ბ) რისკი და ქიმიური პესტიციდების გამოყენება შემცირდება 50%-ით და უფრო სახიფათო პესტიციდების გამოყენება – 50%-ით.
 - გ) სასოფლო სამეურნეო მიწების მინიმუმ 25% ორგანული მიწათმოქმედების მართვის ქვეშ იმყოფება და აგროეკოლოგიური მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზრდება;
 - დ) ევროკავშირში დაირგვება 3 მლრდ ხე, სრულად ეკოლოგიური პრინციპების დაცვით;
 - ე) მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული საქმიანობის განხორციელების ადგილებში დაბიძურებული ნიადაგის რემედიაციის საკითხში;
 - ვ) აღდგება ამჟამინდელი თავისუფლად მოძრავი მდინარეების არანაკლებ 25,000 კმ;
 - ზ) 50%-ით შემცირდება მინერალური სასუქების შემადგენელი საკვები ნივთიერებების დანაკარგები, რაც გამოიწვევს მინერალური სასუქების გამოყენების შემცირებას სულ მცირე 20%-ით მაინც;
 - თ) არსებითად შემცირდება თევზჭერისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება სენსიტიურ სახეობებსა და მათ ჰაბიტატზე, მათ შორის ზღვის ფსკერზე, გარემოს კარგი მდგრამარეობის მისაღწევად.
- გმ3. გარდამავალი გეგმის გამჟღავნებისას საწარმოს ასევე შეუძლია სახელმძღვანელოდ მიმართოს დოკუმენტს „მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals), კერძოდ:
- ა) SDG 2-ს – „შიმშილის ლიკვიდაცია, საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კვების გაუმჯობესება, ასევე სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
 - ბ) SDG 6-ს – „წყლის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის, ასევე სანიტარული პირბების უზრუნველყოფა ყველასთვის“;
 - გ) SDG 14-ს – „ოკეანეების, ზღვებისა და საზღვაო რესურსების შენარჩუნება და მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“; და
 - ღ) SDG 15-ს – „მიწისზედა კოსისტემების დაცვა, აღდგენა და მათი მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა, ტყეების მდგრადი მართვა, ბრძოლა გაუდაბნოების წინააღმდეგ, ასევე მიწის რესურსების დურადაციის შეჩერება და შეწყვეტა, ასევე ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება.

ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

ESRS 2-ის IRO-1 ნაწილთან – „ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

გმ4. არსებითობის შეფასება ESRS E4-ის შესაბამისად მოიცავს:

- ა) საწარმოს წვლილს ბიომრავალფეროვნების კარგვაზე უშუალო ზემოქმედების გამომწვევა ფაქტორებში¹²:
- i. კლიმატის ცვლილება;
 - ii. მიწათსარგებლობის ცვლილება (მაგ., ხელოვნური (ინჟინერის) მეთოდებით მიწათსარგებლობა), მტკნარი წყლების გამოყენების ცვლილება და ზღვის გამოყენების ცვლილება;
 - iii. პირდაპირი გამოყენება
 - iv. ინგაზიური უცხო სახეობები;
 - v. დაბინძურება; და
 - vi. სხვა.
- ბ) ზემოქმედება სახეობების მდგომარეობაზე (ე.ი. სახეობების პოპულაციის ზომა, სახეობების გლობალური გაქრობის რისკი);
- გ) ზემოქმედება კოსისტემების მასშტაბსა და მდგომარეობაზე, მათ შორის მიწის დეგრადაციის, გაუდაბნებისა და ნიადაგის დაბლოკის მეშვეობით; და
- დ) ზემოქმედება და დამოკიდებულება კოსისტემურ მომსახურებაზე.
- გმ5. ზემოქმედების, დამოკიდებულების, რისკებისა და შესაძლებლობების არსებითობის შეფასებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ESRS 2-ის IRO-1 ნაწილისა და ESRS 1-ის მე-3 თავის „ორმაგი არსებითობა, როგორც მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამუღავნების საფუძველი“ – დებულებები და აღწეროს თავისი მოსაზრებები.
- გმ6. საწარმომ უნდა შეაფასოს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების არსებითობა თავის ოპერაციებსა და აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, ასევე შეუძლია არსებითობის შეფასება LEAP მიდგომის პირველი სამი ეტაპის შესაბამისად: ადგილი (პუნქტი გმ7), დამოკიდებულებისა და ზემოქმედების შეფასება (პუნქტი გმ8) და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება (პუნქტი გმ9).
- გმ7. 1-ელი ეტაპი ეხება შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ადგილების ადგილმდებარეობის განსაზღვრას, ბიომრავალფეროვნებისა და კოსისტემებთან მათი ურთიერთქმედების თვალსაზრისით. ამგვარი საქმიანობის განხორციელების ადგილების გამოსავლენად საწარმოს შეუძლია:
- ა) შეიმუშაოს პირდაპირი აქტივებისა და ოპერაციების ადგილმდებარეობისა და მათთან დაკავშირებული იმ აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს კომერციულ საქმიანობასთან. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის წარმოდგენა იმ საქმიანობის განხორციელების ადგილების თაობაზეც, რომლის სამომავლო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გაასაჯაროვა;
 - ბ) ჩამოთვალის ის ბიომასები და ეკოსისტემები, რომელთანაც ის ურთიერთმოქმედებს, გმ7(ა) პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ადგილების სიის საფუძველზე;
 - გ) განსაზღვროს თითოეულ ზემოაღნიშნულ ადგილზე ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის მთლიანობა და მნიშვნელობა, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოს მე-16 და მე-17 პუნქტებში მოცემული ინფორმაცია;
 - დ) შეადგინოს იმ ადგილების სია, სადაც საწარმო ურთიერთქმედებს ბიომრავალფეროვნების მხრივ მცრმებიარე ტერიტორიებზეან მათ მახლობლად მდებარე ადგილებთან მე-16 და მე-17 პუნქტებში აღწერილი ინფორმაციის გათვალისწინებით; და

12. კლიმატის ცვლილების გამომწვევი პირდაპირი ფაქტორის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ESRS E1-ის - „კლიმატის ცვლილება“ და ESRS E2-ის - „დაბინძურება“ - შესაბამისად.

- გ) განსაზღვროს, რომელი სექტორები, ბიზნესერთეულები, ღირებულებათა ჯაჭვები ან აქტივების კლასების ურთიერთქმედებენ ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან ამ არსებითი საქმიანობის განხორციელების ადგილებზე. იმის ნაცვლად, რომ ეს ურთიერთქმედება განსაზღვროს თითოეული საქმიანობის განხორციელების ადგილისთვის, საწარმოს შეუძლია ამგვარი ურთიერთქმედების განსაზღვრა თითოეული შესყიდული ან გაყიდული ნედლეულისთვის ტონებში, თუ ასეთი მეთოდით უფრო მეტი გამჭვირვალობა მიიღწევა.
- გმ8. მე-2 ეტაპზე საქმიანობის განხორციელების შესაბამის ადგილებთან დაკავშირებით ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე ფაქტობრივი ან პოტენციური ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შესაფასებლად საწარმოს შეუძლია:
- ა) განსაზღვროს ის ბიზნესპროცესები და საქმიანობის სახეები, რომლებიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან;
 - ბ) განსაზღვროს ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედება და დამოკიდებულება;
 - გ) მიუთითოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე განხორციელებული ზემოქმედების ხარისხი, მასშტაბი, სიხშირე და დრო, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოს მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული გასამჟღავნებელი ინფორმაცია. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნებაც:
- i. თავისი მომწოდებლების იმ ობიექტების ხვედრითი წილი პროცენტებში, რომლებიც მდებარეობს რისკიან ზონებში (სადაც არსებობს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები, რომლებიც შეტანილია ბუნებისა დაცვის საერთაშორისო კავშირის სახეობების წითელ სიაში (IUCN, Red List of Species), ჩიტებისა და მათი ჰაბიტატის შესახებ დირექტივაში, ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ეროვნულ სიაში, ან არსებობენ ოფიციალურად აღიარებულ დაცულ ტერიტორიებზე, ნატურა 2000-ის ქსელის დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების ძირითად ზონებში (Natura 2000 network of protected areas and Key Biodiversity Areas);
 - ii. იმ მომწოდებლებთან განხორციელებულ შესყიდვებზე გაწეული დანახარჯების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ობიექტები განთავსებულია რისკიან ზონებში (სადაც არსებობს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები, რომლებიც შეტანილია ბუნებისა დაცვის საერთაშორისო კავშირის სახეობების წითელ სიაში (IUCN, Red List of Species), ჩიტებისა და მათი ჰაბიტატის შესახებ დირექტივაში, ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ეროვნულ სიაში, ან არსებობენ ოფიციალურად აღიარებულ დაცულ ტერიტორიებზე, ნატურა 2000-ის ქსელის დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების ძირითად ზონებში (Natura 2000 network of protected areas and Key Biodiversity Areas); და
- დ) მიუთითოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე, მათ შორის ნედლეულზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოსისტემურ მომსახურებაზე დამოკიდებულების ზომა და მასშტაბი. საწარმოს შეუძლია დაეყრდნოს საერთაშორისო კლასიფიკაციებს, როგორიც არის, მაგალითად ეკოსისტემური მომსახურების საერთო საერთაშორისო კლასიფიკაცია (CICES).
- გმ9. მე-3 ეტაპზე, არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად 1-ელი და მე-2 ეტაპის შედეგების საფუძველზე, საწარმოს შეუძლია განიხილოს შემდეგი კატეგორიები:
- ა) ფიზიკური რისკები:
- i. მწვავე რისკები (მაგ., სტიქიური უბედურებები, რომლებიც გამწვავებულია გვოსისტემების სანაპირო დაცვის დანაკარგებით, რაც წარმოქმნის სანაპირო ინფრასტრუქტურისთვის ქარიშხლით მიყენებული ზიანის დანახარჯებს, დაავადებები და მავნებლები, რომლებიც გავლენას ახდენს იმ სასოფლო სამეურნეო კულტურების სახეობებზე ან ჯიშებზე, რომელზეც დამოკიდებულია საწარმო, განსაკუთრებით იმ

- შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ან მწირია სახეობის გენეტიკური მრავალფეროვნება, სახეობების კარგვა და ეკოსისტემის **დეგრადაცია**); და
- ii. ქრონიკული რისკები (მაგ., მოსავლის დანაკარგი, რაც გამოწვეულია დამტვერვის მომსახურების შემცირებით, ძირითადი ბუნებრივი რესურსების დეფიციტის გაზრდით ან მათი წარმოების ცვალებადობით; ეკოსისტემის დეგრადაცია, რაც განპირობებულია საწარმოს საქმიანობით, რომელიც იწვევს სანაპიროს ეროვნისა და ტყეების ფრაგმენტაციას, ოკეანის წყლის მჟავიანობას, მიწების დანაკარგს **გაუდაბნების** დონემდე და **ნიადაგის დეგრადაციამდე** და ამის შედეგად, საბოლოოდ, ნიადაგის ნაყოფიერების და სახეობების დანაკარგს).
- ბ) **გარდამავალი რისკები**, მათ შორის:
- i. **პოლიტიკური და სამართლებრივი:** მაგ., ახალი რეგულაციის ან პოლიტიკის ამოქმედება (მაგ., ისეთი ცვლილებები, როგორიც არის მიწის დაცვის გაძლიერება); სანქციებისა და სასამართლო გარჩევების საფრთხეები; (მაგ., დამაბინძურებელი ჩამდინარე წყლების დაღვრა, რაც ზიანს აყენებს ადამიანებისა და ეკოსისტემის ჯანმრთელობას; ან ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული უფლებების, ნებართვების ან გამოყოფილი ფინანსების გამოყენების წესების დარღვევა; ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მოფრთხილების იგნორირება ან განადგურება); ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და დაკავშირებული მომსახურების შესახებ ანგარიშებაში ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებული ვალდებულებების გამკაცრება;
 - ii. **ტექნოლოგიური:** მაგ., პროდუქტების ან მომსახურების ჩანაცვლება ისეთი პროდუქტებით ან მომსახურებით, რომლებიც უფრო ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე ან ეკოსისტემურ მომსახურებაზე დამოკიდებულებაზე, მონაცემების არარსებობა ან დაბალი ხარისხის მონაცემების ხელმისაწვდომობა, რაც ართულებს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ შეფასებებს, უფრო ეფექტიან და სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლა (ე.ი. ტექნოლოგიები, რომლებიც უფრო ნაკლებად ზემოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე), მონიტორინგის ახალი ტექნოლოგიები (მაგ., სატელიტური), მოთხოვნები გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ (მაგ., კლიმატური მექანიზმები, მექანიკური დამტვერვის მოწყობილობები, წყლის გაწმენდა, წყალდიდობისგან დაცვა);
 - iii. **საბაზო:** მაგ., მიწოდების, მოთხოვნისა და დაფინანსების ცვლილებები, ნედლეულის ცვალებადობა ან დანახარჯების გაზრდა (მაგ., ბიომრავალფეროვნებისთვის განსაკუთრებით საჭირო მასალების, რომლის ფასი გაიზარდა ეკოსისტემის დეგრადაციის გამო);
 - iv. **რეპუტაციული:** მაგ., საზოგადოების, მომხმარებლების ან საზოგადოებრივი ჯგუფების აღქმის ცვლილება, რაც განაპირობა ორგანიზაციის როლმა ბიომრავალფეროვნების კარგვაში, ბუნებასთან დაკავშირებული უფლებების დარღვევამ საწარმოს საქმიანობის შედეგად, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში უარყოფითი ინფორმაციის გაშუქებამ, რაც გამოიწვია საწარმოს ზემოქმედებამ განსაკუთრებული მნიშვნელობის სახეობებზე ან/და ეკოსისტემებზე, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულმა სოციალურმა კონფლიქტებმა გადაშენების პირას მყოფი სახეობების, დაცული ტერიტორიების, რესურსების ან **დაბინძურების** გამო.
- გ) **სისტემური რისკები**, მათ შორის:
- i. ეკოსისტემის მოშლის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუნებრივი სისტემა შეწყვეტის ფუნქციონირებას, მაგალითად, იმის გამო, რომ ეკოსისტემა მიაღწევს კრიტიკულ წერტილებს და მთლიანად კრახს განიცდის, რაც იწვევს მასობრივ გეოგრაფიულ ან დარგობრივ დანაკარგებს (ფიზიკური რისკების გაერთიანება);
 - ii. აგრეგირებული რისკი, რომელიც დაკავშირებულია **ბიომრავალფეროვნების კარგვის** ფუნდამენტურ ზემოქმედებასთან, გარდამავალი და ფიზიკური რისკების დონეზე

პორტფელის (კორპორაციული ან ფინანსური) ერთ ან რამდენიმე სექტორში; და

- iii. გადამდები რისკები, როდესაც გარკვეული კორპორაციების ან საფინანსო დაწესებულებების ფინანსური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებისა და მართვის უუნარობასთან, ვრცელდება მთელ ეკონომიკურ სისტემაზე;

(დ) შესაძლებლობები: მათ შორის, მაგალითად:

- საწარმოს საქმიანობის შედეგების კატეგორიები: რესურსების გამოყენების ეფექტურობა; პროდუქტები და მომსახურება; ბაზრები; კაპიტალის მოძრაობა და დაფინანსება; რესურსების კაპიტალი; და
- მდგრადი განვითარების საქმიანობის მაჩვენებლები: ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და **რეგულირება**; ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

ინფორმაციის წარდგენა:

გმ10. საწარმოს შეუძლია ქვემოთ მოცემული ცხრილების გათვალისწინება, რაც გაუადვილებს გმ 7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული არსებითი **საქმიანობის განხორციელების ადგილების არსებითობის** შეფასების პროცესს:

ეკოსისტემური მომსახურება...	ფაქტობრივი ან პოტენციური დამოკიდებულება	
...	ფუნქციური შესაძლებლობების ცვლილება	ფინანსური ზარალი
...	შეზღუდული, ზომიერი ან მნიშვნელოვანი	შეზღუდული, ზომიერი ან მნიშვნელოვანი
...

საქმიანობის განხორციელების ადგილის მდებარეობა	საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები, დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონები	ფაქტობრივი ან პოტენციური ზემოქმედება			
...	...	წარმოქმნის სიხშირე	ზემოქმედების სიჩქარე	ზემოქმედების სერიოზულობა	შერბილების შესაძლებლობა
...	...	მაღალი, საშუალო ან დაბალი	<1 წელზე ან 1-3 წელი ან >3 წელზე	მაღალი, საშუალო ან დაბალი	მაღალი, საშუალო ან დაბალი
...

გმ 7(ე) პუნქტთან დაკავშირებით საწარმოს შეუძლია განიხილოს შემდეგი ცხრილის გამოყენების შესაძლებლობა:

სად იწარმოება ნედლეული ან საიდან არის მიღებული?	ნედლეულის აბსოლუტური წონა (და ნედლეულის წონის პროცენტული სიდიდე)
ტერიტორიები, სადაც არსებობს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები, რომლებიც შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სახეობების წითელ სიაში, ჩიტებისა და მათი ჰაბიტატის შესახებ დირექტივა, ან საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების ეროვნული სიაში	...
ოფიციალურად აღიარებული დაცული ტერიტორიები	...
ბიომრავალფეროვნების სხვა ძირითადი ზონები	...

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-2 – „ბიომრავალფეროვნებასა და უკოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

- გმ11. ინფორმაციის გამუღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიხედვით აღწერილი პოლიტიკები შეიძლება ინტეგრირებული იყოს უფრო ფართო პოლიტიკაში, რომელიც ეხება გარემოს დაცვას ან მდგრად განვითარებას და მოიცავს სხვადასხვა ქვეთემას.
- გმ12. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებაც, ეს პოლიტიკა როგორ ეხება ნედლეულის წარმოებას, შესყიდვებს ან მოხმარებას, კერძოდ კი იმის თაობაზე:
- ა) როგორ ზღუდავს ეს პოლიტიკა იმ მომწოდებლებიდან შესყიდვებს, რომლებიც ვერ წარმოადგენებ იმის მტკიცებულებას (მაგ., სერტიფიკატის მქონეობით), რომ მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებენ დაცულ ტერიტორიებს ან ბიომრავალფეროვნების ძირითად ზონებს;
 - ბ) როგორ არის მასში გათვალისწინებული აღიარებული სტანდარტები ან მესამე მხარეთა სერტიფიკატები, რომლებსაც აკონტროლებენ მარეგულირებელი ორგანოები; და
 - გ) როგორ ითვალისწინებს ის ისეთი უკოსისტემების რესურსებს, რომლის მართვა ხორციელდება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ან პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც დასტურდება ბიომრავალფეროვნების სტატუსის რეგულარული მონიტორინგით და მის შესახებ წარდგენილი ანგარიშით, ასევე შემოსულობებით ან ზარალით;
- გმ13. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამუღავნება ამ პოლიტიკის კავშირისა და შესაბამისობის შესახებ სხვა გლობალურ მიზნებსა და შეთანხმებებთან, როგორიც არის, მაგალითად მდგრადი განვითარების მე-2, მე-6, მე-14 და მე-15 მიზნები, ან ბიომრავალფეროვნებასა და უკოსისტემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საყოველთაოდ აღიარებულ გლობალურ კონვენციასთან.
- გმ14. ბიომრავალფეროვნებასა და უკოსისტემებთან დაკავშირებული დამოკიდებულებებისა და ზემოქმედების სოციალურ შედეგებთან დაკავშირებული პოლიტიკების შესახებ ინფორმაციის გამუღავნებისას 23(ვ) პუნქტის შესაბამისად, საწარმოს კონკრეტულად შეუძლია იხელმძღვანელოს ნაგოიას პროტოკოლით და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციით (CBD).
- გმ15. როდესაც ინფორმაციას ამუღავნებს 23(ვ) პუნქტის შესაბამისად იმის შესახებ, საწარმოს პოლიტიკა ითვალისწინებს თუ არა და როგორ ბიომრავალფეროვნებასა და უკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედების სოციალურ შედეგებს, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის წარმოდგენა შემდეგი საკითხების შესახებ:

- ა) სამართლიანი და თანასწორი განაწილება იმ სარგებლის, რომელიც წარმოიქმნება გენეტიკური რესურსების გამოყენების შედეგად; და
- ბ) **ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული შეთანხმება** გენეტიკური რესურსების წვდომის შესახებ.
- გმ16. საწარმოს ასევე შეუძლია ახსნას, მისი პოლიტიკა როგორ იძლევა იმის საშუალებას, რომ:
- ა) თავიდან აცილოს **ბიომრავალფეროვნებასა და კვასისტემებზე** უარყოფითი ზემოქმედება საკუთარ ოპერაციებსა და შესაბამის აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში;
 - ბ) შეამციროს და მინიმუმამდე დაიყვანოს ბიომრავალფეროვნებასა და კვოსისტემებზე ისეთი უარყოფითი ზემოქმედება თავის ოპერაციებსა და მთელ აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია;
 - გ) აღდგეს დეგრადირებული კვოსისტემები და განხორციელდეს მათი რეაბილიტაცია, ან აღდგეს კვოსისტემები ისეთი ზემოქმედების შემდეგ, რომლის მთლიანად თავიდან აცილება ან/და მინიმუმამდე დაყვანა შეუძლებელია; და
 - დ) შეამციროს თავისი მონაწილეობა **ბიომრავალფეროვნების კარგვის** გამომწვევ არსებით ფაქტორებში.
- გმ17. **პოლიტიკების** შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, როდესაც საქმე ეხება მესამე მხარეთა ქცევის სტანდარტებს, საწარმოს შეუძლია გამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, გამოყენებული სტანდარტი:
- ა) არის თუ არა ობიექტური და მიღწევადი, მეცნიერულ მიდგომაზე დაყრდნობით, იმ თვალსაზრისით, რომ გამოავლინოს პრობლემები და ასევე რეალისტური იმის შესაფასებლად, როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება ადგილობრივად სხვადასხვა პრაქტიკულ/ცხოვრებისეულ გარემოებაში;
 - ბ) შემუშავებულია თუ არა, ან გამყარებულია თუ არა **დაინტერესებულ მხარეებთან** მუდმივი კონსულტაციების პროცესის მეშვეობით, ყველა შესაბამისი დაინტერესებული ჯგუფის დაბალანსებული წვლილის პირობებში, როგორებიცა მწარმოებლები, მოვაჭრები, გადამ-მუშავებლები, ფინანსისტები, ადგილობრივი მოსახლეობა და საზოგადოებრივი ჯგუფები, **მკვიდრი მოსახლეობა** და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც წარ-მოადგენენ **მომხმარებლების**, გარემოსდაცვით და სოციალურ ინტერესებს და ამასთან არცერთ ჯგუფს არა აქვს მიზანშეუწონელი/არამართლზომიერი უფლებამოსილება ან ვეტოს უფლება განსახილველ თემასთან დაკავშირებით;
 - გ) ხელს უწყობს თუ არა ეტაპობრივი მიდგომის გამოყენებას და ასევე როგორც სტანდარტის მუდმივ სრულყოფას, ისე მართვის მოწინავე მეთოდების გამოყენებას, ასევე მოითხოვს თუ არა მნიშვნელოვანი **სამიზნე მაჩვენებლებისა** და სპეციფიკური შეალედური საკონტროლო მიზნების დადგენას, რომლებიც გვიჩვენებს დროთა განმავლობაში თითოეული პრინციპისა და კრიტერიუმის გამოყენებაში მიღწეულ პროგრესს;
 - დ) ექვემდებარება თუ არა შემოწმებას სერტიფიკატების გამცემი ან შემმოწმებელი დამოუკიდე-ბელი ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ წინასწარ დადგენილი და მკაცრი შეფასების პროცედურები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა და შესაბამება თუ არა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება აკრედიტაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს, ან ევროკავშირის 2008 წლის #765 რეგულაციის (Regulation (EC) No 765/2008) 52-ე მუხლს; და
 - ე) შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ალიანსის ISEAL-ის მდგრადი სისტემების კარგი პრაქტიკის კოდს (ISEAL Code of Good Practice).

ინფორმაციის გამუღავნების მოთხოვნა E4-3 – „ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“

- გმ18. საწარმოს შეუძლია უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი ქმედებებისთვის საჭირო აუცილებელი კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების მნიშვნელოვანი ფულადი თანხები დაკავშიროს:
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებთან ან განმარტებით შენიშვნებში გამუღავნებულ ინფორმაციასთან;
 - საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლებთან, რომლებიც მოითხოვება ევროკავშირის 2020/852 რეგულაციის (Regulation (EU) 2020/852) მე-8 მუხლითა და ევროკომისის 2021/2178 დელეგირებული რეგულაციით (Commission Delegated Regulation (EU) 2021/2178); და
 - შესაბამის შემთხვევაში, კაპიტალური დანახარჯების გეგმასთან, რომელიც მოითხოვება კომისიის 2021/2178 დელეგირებული რეგულაციით (Commission Delegated Regulation (EU) 2021/2178).
- გმ19. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამუღავნება იმის თაობაზე, ითვალისწინებს თუ არა ის „პრევენციის“ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მიმართულია ზიანის გამომწვევი ქმედებებისთავიდან აცილებაზე მათ განხორციელებამდე. პრევენცია ხშირად გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, რომ საწარმომ უნდა გადაუხვიოს პროექტის მიმდინარეობის ჩვეულ გზას. ამგარი პრევენციის მაგალითია პროექტის ზემოქმედების შეცვლა ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემაზე, ბუნებრივი ჰაბიტატის განადგურების თავიდან აცილების მიზნით საწარმოს საქმიანობის განხორციელების ადგილზე ან/და რეზიუმების შექმნა იქ, სადაც არსებობს ბიომრავალფეროვნების მხრივ პრიორიტეტული ფასეულობები და ეს ფასეულობები შენარჩუნებული იქნება. საწარმომ პრევენციის შესაძლებლობა უნდა განიხილოს სულ მცირე იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც არსებობს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ისეთი ფასეულობები, რომლებიც განეკუთვნება ერთ-ერთ შემდგა კატეგორიას: განსაკუთრებით მოწყვლადი და შეუცვლელი ფასეულობა, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, ან როდესაც გამართლებულია ფრთხილი მიდგომა ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო, ან ფასეულობა ეხება მართვის მეთოდების უფექტურობას. ქვემოთ განხილულია პრევენციის სამი ძირითადი ტიპი:
- პრევენცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შერჩევით (მთელი პროექტის განთავსება ისეთი ტერიტორიისან მოშორებით, რომელიც აღიარებულია ბიომრავალფეროვნების მხრივ მნიშვნელოვან ფასეულობად);
 - პრევენცია პროექტის განხორციელების გეგმით (ინფრასტრუქტურის შექმნა – პროექტის განხორციელების ადგილზე იმ ტერიტორიების დასაცავად, რომლებიც აღიარებულია ბიომრავალფეროვნების მხრივ მნიშვნელოვან ფასეულობად); და
 - პრევენცია დაგეგმვის მეშვეობით (საპროექტო საქმიანობის დრო – სახეობების ქცევის კანონზომიერების (მაგ., გამრავლება, მიგრაცია) ან ეკოსისტემის ფუნქციების (მაგ., მდინარეების დინამიკა) გასათვალისწინებლად.
- გმ20. ძირითად ქმედებებთან დაკავშირებით საწარმოს შეუძლია შემდეგი ინფორმაციის გამუღავნება:
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების სია (მაგ., კონკურენტები, მომწოდებლები, საცალო მოვაჭრეები, სხვა საქმიანი პარტნიორები, ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები და სახელისუფლებო ორგანოები, სამთავრებო დაწესებულებები) და მათი მონაწილეობის ფორმები, სადაც მითითებული უნდა იყოს ძირითადი ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც საწარმოს ქმედებები ახდენს უარყოფით ან დადებით გავლენას, ასევე რა სახით ხდება მათზე ზემოქმედება, მათ შორის ზემოქმედება ან სარგებელი, რომელიც იქმნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივ ჯგუფებისთვის, მცირე მიწათმფლობელებისთვის, მკვიდრი მოსახლეობისთვის ან სხვა ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან;

- ბ) როდესაც შესაფერისია, სათანადო კონსულტაციების ჩატარების აუცილებლობისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების გადაწყვეტილებების პატივისცემის აუცილებლობის ახსნა;
- გ) მოკლე შეფასება იმისა, საწარმოს ძირითად ქმედებებს შეუძლია თუ არა მნიშვნელოვანი უარყოფითი **ზემოქმედების** გამოწვევა მდგრადობაზე;
- დ) იმის ახსნა, საწარმოს ძირითადი ქმედება ერთჯერადი ღონისძიებაა, თუ სისტემატური პრაქტიკა;
- ე) იმის ახსნა, ძირითად სამოქმედო გეგმას მხოლოდ საწარმო ასრულებს თავის რესურსების გამოყენებით, თუ ეს გეგმა უფრო ფართო ინიციატივის/ღონისძიების ნაწილია, რომელშიც საწარმოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. თუ ძირითადი სამოქმედო გეგმა უფრო ფართო ინიციატივის ნაწილია, საწარმოს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა პროექტის, მისი სპონსორებისა და სხვა მონაწილეების შესახებ;
- ვ) იმის აღწერა, როგორ უწყობს ეს ქმედება ხელს მთელი სისტემის ანუ სისტემურ ცვლილებას, კერძოდ, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილების გამომწვევი ფაქტორების ცვლილებას, მაგ., ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ინსტიტუციონალური და სოციალური ფაქტორებისა და ასევე ძირითადი ფასეულობებისა და ქვევის მოდელის ცვლილების მეშვეობით.
- გმ21. ინფორმაციის გამუდავნების წინამდებარე მოთხოვნის კონტექსტში „ადგილობრივი და მკვიდრი ცოდნა“ ეხება იმ ცოდნას, უნარებსა და შეხედულებებს, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფებს ჩამოუყალიბდათ ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთქმედების ხანგრძლივი ისტორიის შედეგად. სოფლის მაცხოვრებლებსა და **მკვიდრი მოსახლეობასთან** მიმართებით ადგილობრივი ცოდნა საწარმოს ებმარება ყოველდღიური ცხოვრების ფუნდამენტური ასპექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

ინფორმაციის გამუდავნების მოთხოვნა E4-4 – „ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

- გმ22. საწარმოს შეუძლია მიუთითოს, მის კონკრეტული **სამიზნე მაჩვენებელში** გათვალისწინებულია თუ არა ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია (EU) 2020/852 რეგულაციის 15(2) მუხლის შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტებით დადგენილ „მნიშვნელოვანი წვლილის“ კრიტერიუმებთან, რომლებიც ბიომრავალფეროვნებას ეხება. თუ საწარმო ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით არ აკმაყოფილებს „არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანი“ კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია (EU) 2020/852 რეგულაციის 10(3), 11(3), 12(2), 13(2) და 14(2) მუხლების შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტებით, მაშინ მას შეუძლია მიუთითოს, მის სამიზნე მაჩვენებელში გათვალისწინებულია თუ არა „არ მიაყენო მნიშვნელოვანი ზიანი“ კრიტერიუმებთან დაკავშირებული ხარვეზები.
- გმ23. 29-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გამუდავნებისას, რომელიც სამიზნე მაჩვენებლების დადგენას ეხება, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის ინფორმირებული და ნაბაყოფლობითი თანხმობის, შესაბამისი კონსულტაციებისა და ამ საზოგადოებრივი ჯგუფების გადაწყვეტილებების პატივისცემის აუცილებლობა.
- გმ24. არსებით **ზემოქმედებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები** შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით, ასე მაგალითად:

სამიზნე მაჩვენებლების ტიპი ზემოქმედების შერჩილების იერარქიის შესაბამისად	საბაზისო მნიშვნე- ლობა და საბაზისო წელი	სამიზნე მაჩვენებლის მნიშვნელობა და რომელ რეგიონს მოიცავს			დაკავშირებული პოლიტიკა ან კანონმდებლობა, შესაბამის შემთხვევაში
2025 წ.	2030 წ.	2050 წ.-მდე			
პრევენცია					
მინიმიზაცია					
რეაბილიტაცია და აღდგენა					
ანაზღაურება ან კომპენსაცია					

გმ25. მდგრადობის არსებით საკითხთან პოტენციურად დაკავშირებული **სამიზნე მაჩვენებლები**, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე სტანდარტის გმ4 პუნქტში, შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი ცხრილის სახით:

სამიზნე მაჩვენებლების ტიპი მდგრადობის საკითხის შესაბამისად	საბაზისო მნიშვნე- ლობა და საბაზისო წელი	სამიზნე მაჩვენებლის მნიშვნელობა და რომელ რეგიონს მოიცავს			დაკავშირებული პოლიტიკა ან კანონმდებლობა, შესაბამის შემთხვევაში
		2025 წ.	2030 წ.	2050 წ.-მდე	

გმ26. ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული გაზომვადი **სამიზნე მაჩვენებლები** შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

- ა) ყველა დაცული ან აღდგენილი **ჰაბიტატის** ზომა და ადგილმდებარეობა, იმის მიუხედავად, მას საწარმო პირდაპირ აკონტროლებს თუ არაპირდაპირ, ასევე აღდგენითი ღონისძიების წარმატება დადასტურებულია თუ არა დამოუკიდებელი გარე პროფესიონალების მიერ;
- ბ) აღდგენილი მიწის ზედაპირი (გარემო, სადაც ხორციელდება მართვის საინიციატივო ღონისძიებები იმ მიზნით, რომ ჰაბიტატი შეიქმნას **საქმიანობის განხორციელების** ისეთ ადგილას, სადაც ის თავდაპირველად არ არსებობდა); ან
- გ) იმ პროექტების/საქმიანობის განხორციელების ადგილების რაოდენობა ან პროცენტული მაჩვენებელი, რომლის კოლოგიური მთლიანობა გაუმჯობესდა (მაგ., თევზგამტარი ნაგებობის, ველური ბუნების კორიდორების დამონტაჟებით).

ინფორმაციის გამუდავნების მოთხოვნა E4-5 – „ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების მაჩვენებლები“

მგ27. ინფორმაციის გამუდავნების წინამდებარე მოთხოვნის შესაბამისი ინფორმაციის მომზადებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები და შეუძლია აღწეროს:

- ა) გამოყენებული მეთოდოლოგიები და მდგრადობის **მაჩვენებლები** და ახსნას, რატომ აარჩია ეს მეთოდოლოგია და მაჩვენებლები, ასევე გამოყენებული დაშვებები, შეზღუდვები და განუსაზღვრელობა და ამ მეთოდოლოგიაში დროთა განმავლობაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და ცვლილების მიზეზები;

- ბ) ამ მაჩვენებლებისა და მეთოდოლოგიის მოქმედების სფერო, მაგალითად:
- i. საწარმო, **საქმიანობის განხორციელების ადგილი**, ბრენდი, საქონელი, ბიზნესერთეული, საქმიანობა;
 - ii. რომელ ასპექტებს მოიცავს (როგორც ეს განსაზღვრულია გმ4 პუნქტში);
- გ) მდგრადობის მაჩვენებლების **ბიომრავალფეროვნების** კომპონენტები: სპეციფიკური სახეობა, სპეციფიკური ეკოსისტემა;
- დ) გეოგრაფიული რეგიონები, რომელთაც ეხება მეთოდოლოგია და ახსნას, რატომ არის გამოტოვებული ზოგიერთი შესაბამისი რეგიონი;
- ე) ამ მაჩვენებლებში როგორ არის ინტეგრირებული **კოლონიური ზღვრები** (მაგ., **ბიოსფეროს მთლიანობა** და **მიწის სისტემის ცვლილება, პლანეტარული საზღვრები**) და განაწილება;
- ვ) მონიტორინგის სიხშირე, ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც მონიტორინგს ექვემდებარება და საბაზისო მდგომარეობა/მნიშვნელობა და საბაზისო წელი/პერიოდი, ასევე განსახილველი/საანალიზო პერიოდი;
- ზ) ეს მაჩვენებლები პირველად მონაცემებს ეყრდნობა, მეორად მონაცემებს, მოდელირებულ მონაცემებს თუ ექსპერტის დასკვნებს, თუ ყველა მათგანს კომბინირებულად;
- თ) რომელი ქმედებები იზომება და კონტროლდება ამ მაჩვენებლების მეშვეობით და როგორ არის ისინი დაკავშირებული **სამიზნე მაჩვენებლების** მიღწევასთან;
- ი) ეს მაჩვენებლები სავალდებულოა (კანონმდებლობით მოთხოვნილი) თუ წებაყოფლობითი. თუ ეს მაჩვენებლები სავალდებულოა, საწარმოს შეუძლია მიუთითოს შესაბამისი კანონმდებლობა, ხოლო თუ წებაყოფლობითია – შეუძლია მიუთითოს წებისმიერი წებაყოფლობითი სტანდარტი ან პროცედურა, რომელიც გამოიყენა; და
- კ) ეს მაჩვენებლები ითვალისწინებს და შეესაბამება თუ არა შესაბამისი ავტორიტეტული ეროვნული ორგანოების მოლოდინებსა და რეკომენდაციებს, ევროკავშირის ან მთავრობათაშორისი დონის სახელმძღვანელო პრინციპებს, **პლანიტიკას**, კანონმდებლობას ან შეთანხმებებს, როგორიც არის მაგალითად „კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ“ (CBD) ან „ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური მომსახურების შესახებ მთავრობათაშორისი სამეცნიერო პოლიტიკის პლატფორმა“ (IPBES).
- გმ28. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს მდგრადობის ის **მაჩვენებლები**, რომლებიც შემოწმებას ექვემდებარება და ტექნიკურად და მეცნიერულად საიმედოა სივრცულ-დროითი პარამეტრების გათვალისწინებით, ასევე შეუძლია მიუთითოს, მის მიერ შერჩეული მაჩვენებლები შეესაბამება თუ არა ამ კრიტერიუმებს. შესაფერისი მაჩვენებლების შესარჩევად მკაფიო კავშირი უნდა არსებობდეს კონკრეტულ მაჩვენებელსა და გაზომვის მიზანს შორის. განუსაზღვრელობები უნდა შემცირდეს შეძლებისადაგვარად მაქსიმალურად. გამოყენებული მონაცემები ან მექანიზმები გამყარებული უნდა იყოს აღიარებული ორგანიზაციების რეკომენდაციებით და დრო და დრო უნდა ხდებოდეს მათი განახლება. როდესაც საკმარისი არ არის მონაცემები, შესაძლებელია საიმედო მოდელირებული მონაცემებისა და ექსპერტების დასკვნების გამოყენება. მეთოდოლოგია უნდა იყოს საკმარისად დეტალიზებული, რათა შესაძლებელი იყოს ზემოქმედებისა და ზემოქმედების შემარბილებელი ქმედებების საზრიანი შედარება დინამიკაში. სისტემატურად უნდა გამოიყენებოდეს ინფორმაციის შეგროვების პროცესები და განმარტებები. ეს საწარმოს საქმიანობის შედეგების საზრიანი ანალიზის ჩატარების საშუალებას მისცემს დინამიკაში და ხელს შეუწყობს შიდა მიზნებისთვის განხორციელებულ შედარებასა და საწარმოსა და ანალოგიური საწარმოების/კონკურენტების მაჩვენებლების შედარებას.
- გმ29. თუ რომელიმე ამგვარი მაჩვენებელი სამიზნე მაჩვენებელს შეესაბამება, მაშინ ერთმანეთთან თავსებადი უნდა იყოს ორივე მათგანის საბაზისო მონაცემები. **ბიომრავალფეროვნების** საბაზისო მონაცემები/დონე ბიომრავალფეროვნებისა და **კოსისტებების** მართვის ფართო პროცესის ერთერთი არსებითი კომპონენტია. საბაზისო მონაცემები აუცილებელია ზემოქმედების შეფასების დასასაბუთებლად და მართვის დასაგეგმად, ასევე მონიტორინგისა და ადაპტაციური მართვის

განსახორციელებლად.

- გმ30. ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიები, რომლებიც აუცილებელია ბიომრავალფეროვნებასა და კოსისტემებზე საწარმოს ზემოქმედების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად და ზემოქმედების გასაზომად შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად შემდეგი სახით:
- ა) პირველადი მონაცემები: რომლებიც შეგროვებულია ადგილზე მიწის ზედაპირის გამოკვლევით;
 - ბ) მეორადი მონაცემები: მათ შორის გეოსივრცითი მონაცემების დონეები საწარმოს კომერციული საქმიანობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მონაცემების ჭრილში.
 - i. სახეობების დონეზე, მონაცემების ფენის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა სახეობის გავრცელების არეალს ეხება, შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი სახეობების პროგნოზირებისთვის, რომლებიც შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ადგილას. ეს მოიცავს საწარმოს საქმიანობის განხორციელების ადგილებს და შესყიდვების ადგილებს. სხვადასხვა ფენის მონაცემები სიზუსტის დონით იქნება განსხვავებული, რაც დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე (მაგ., სახეობების გავრცელების არეალი დაზუსტებული იყო თუ არა პატიტატის არსებობის საფუძველზე). ინფორმაცია სახეობების საფრთხის სტატუსისა და იმ საქმიანობების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ, შესაძლოა მიანიშნებდეს სავარაუდო წვლილზე, რომელიც შესაძლოა კომერციულმა საქმიანობამ შეიტანოს პოპულაციური ტენდენციებისა და საფრთხის სტატუსის ცვლილებაში;
 - ii. ეკოსისტემის დონეზე შესაძლებელია ისეთი მონაცემების გამოყენება, რომლებიც ასახავს ეკოსისტემების ცვლილებას ზომისა და მდგომარეობის მიხედვით, მათ შორის პატიტატის ფრაგმენტაციის დონეებსა და ურთიერთკავშირს.
 - გ) მოდელირებული მონაცემები ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის შესახებ: მოდელზე დაფუძნებული მიდგომები, როგორც წესი, ეკოსისტემის დონის მაჩვენებლების განსაზღვრისთვის გამოიყენება (მაგ., მასშტაბი, მდგომარეობა ან ფუნქცია). მოდელები რაოდენობრივად განსაზღვრავს, სხვადასხვა ტიპის ზეწოლის სიდიდე რამდენად ზემოქმედებს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე. ამას უწოდებენ „ზეწოლა-მდგომარეობა“ ურთიერთკავშირს, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოს მასშტაბით შეგროვებულ მონაცემებს. მოდელირების შედეგები ადგილობრივად იმის შესაფასებლად გამოიყენება, საწარმოს მხრიდან საწარმოს დონის ზეწოლა როგორ იწვევს ეკოსისტემის მდგომარეობის ცვლილებას. ზემოქმედების გამომწვევ ფაქტორს, როგორც წესი, სამი ძირითადი მახასიათებელი აქვს: სიდიდე (მაგ., დაბინძურების მოცულობა, ხმაურის ინტენსივობა), სივრცითი მასშტაბი, (მაგ., დაბინძურებული მიწის ფართობი) და დროის მასშტაბი (დაბინძურების არსებობის ხანგრძლივობა).
- გმ31. რაც შეეხება მიწათსარგებლობის სასიცოცხლო ციკლის შეფასებას, საწარმოს შეუძლია მიმართოს ერთობლივი კვლევითი ცენტრის (Joint Research Center) მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მაჩვენებლები მიწის სასიცოცხლო ციკლის შეფასებისთვის“.
- გმ32. ინვაზიური უცხო სახეობების შემოყვანასთან დაკავშირებით საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია ინვაზიური უცხო სახეობების შემოსაყვანად გამოყენებული საშუალებებისა და მათი რაოდენობის შესახებ, ასევე ზედაპირის ფართობი, სადაც განთავსდა ინვაზიური უცხო სახეობები.
- გმ33. კოსისტემების მასშტაბისა და მდგომარეობის მაჩვენებლებთან დაკავშირებით საწარმოს შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოადგეს გაეროს ნამრომი „გარემოსდაცვითი ეკონომიკის აღრიცხვის სისტემა – ეკოსისტემის აღრიცხვა“ (UN SEEA EA).
- გმ34. საწარმოს მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია ფართობის საზომერთეულებში (მაგ., მ² ან ჰექტარი), ეკომენჯმენტის და აუდიტის სქემაში (Eco-Management

and Audit Scheme) მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით¹³:

- ა) სულ გამოყენებული მიწა;
 - ბ) სულ დაბლოკილი ტერიტორია;
 - გ) სულ ბუნებრივად დაცული ტერიტორია **საქმიანობის განხორციელების ადგილზე;** და
 - დ) სულ ბუნებრივად დაცული ტერიტორია საქმიანობის განხორციელების ადგილის ფარგლებს გარეთ.
- გმ35. საწარმოს ინფორმაციის გამუდავნება შეუძლია, მაგალითად, მიწის საფარის ცვლილების შესახებ, რაც წარმოადგენს „ჰაბიტატის ცვლილებისა“ და „სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქმიანობის“, ცვლილების გამომწვევი ფაქტორების ფიზიკურ ასახვას, ე.ი. მიწის ზედაპირის ფიზიკური თვისებების ანთროპოგენური ან ბუნებრივი ცვლილებები გარკვეულ ადგილას.
- გმ36. მიწის საფარი, როგორც წესი, ცვლადი სიდიდეა, რომლის შეფასება შესაძლებელია მიწის ზედაპირზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით.
- გმ37. როდესაც საწარმო ინფორმაციას წარმოადგენს **კოსისტემებთან** დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების შესახებ, მან კონსისტემის მასშტაბისა და მდგომარეობის გარდა უნდა განიხილოს ასევე კონსისტემის ფუნქციონირება შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებით:
- ა) მაჩვენებელი, რომელიც ზომავს კონსისტემის მიერ შესრულებულ რომელიმე პროცესს ან ფუნქციას, ან რომელიც ასახავს კონსისტემის უნარს, განახორციელოს ეს კონკრეტული პროცესი ან ფუნქცია: მაგ., წმინდა პირველადი პროდუქტიულობა, რაც მცენარეთა პროდუქტიულობის საზომია, რომელიც ეყრდნობა მცენარეების მიერ ენერგიის დაგროვების სიჩქარეს, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება კონსისტემის სხვა სახეობებისთვის. ეს კონსისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ძირითადი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, როგორიც არის, მაგ., სახეობების მრავალფეროვნება, მაგრამ უშუალოდ არ ზომავს ამ ფაქტორებს; ან
 - ბ) მაჩვენებელი, რომელიც ზომავს ისეთი სახეობების პოპულაციის ცვლილებებს, რომელიც მეცნიერულად დადგენილია, რომ საფრთხის ქვეშ მყოფება.
- გმ38. კონსისტემის დონეზე შესაძლებელია ისეთი დონის მონაცემების გამოყენება, რომელიც ასახავს **კოსისტემების** მასშტაბისა და მდგომარეობის ცვლილებას, მათ შორის **ჰაბიტატის ფრაგმენტის** დონეებსა და მათ ურთიერთობა უშენებელია.

ინფორმაციის გამუდავნების მოთხოვნა E4-6 – „არსებით ბოომრავალფეროვნებასა და კონსისტემებთან დაკავშირებული რისკებიდან და შესაძლებლობებიდან მოსალოდნელი ფინანსური შედეგები“

- გმ39. საწარმოს ასევე შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურებების შეფასება, რომლებიც რისკს ექვემდებარება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში და ახსნას, როგორ განისაზღვრა ეს, როგორ შეაფასა ფინანსური თანხები და რომელი განსაკუთრებული მნიშვნელობის დაშვებები განსაზღვრა და გამოიყენა.
- გმ40. **მოსალოდნელი ფინანსური შედეგების** რაოდენობრივი შეფასება ფულად გამოხატულებაში 45
(ა) პუნქტის მიხედვით შეიძლება იყოს ერთი თანხა ან თანხების გარკვეული დიაპაზონი.

13. როგორც მითითებულია კომისიის 2018 წლის 19 დეკემბრის რეგულაციაში ((EU) 2018/ 2026), რომელიც ეხება ცვლილებების შეტანას ევროპარლამენტისა და საბჭოს № 1221/2009 რეგულაციის IV დანართში, ორგანიზაციების ნებაყოფლობითი მონაწილეობის შესახებ ეკომერცეულობისა და აუდიტის სქემაში (EMAS) (OJ L 325, 20.12.2018, გვ. 18).